№ 117
შაბათი, 4 ივნისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 117
შაბათი, 4 ივნისი 1894

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახ. ლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადების:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

კვირას, 5-ს ივნისს, ტფილისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში წირვის შემდეგ იქმნება ამორჩევა ამ ეკკლესიის მნათესი, რისთვისაც წინამძღვარი ამა ეკკლესიისა კრებულითურთ სთხოვს ამავე ეკკლესიის მრევლს, მობრძანდნენ ხსენებულს ეკკლესიაში არჩევანზედ დასასწრებლად.

(2—1301—1)

ტფილისის ქალაქის გ მგეობა ამით აუწყებს, რომ 13 ივნისს 1894 წ. დღისით 12 საათზედ, დანიშნულია საჯაროდ იჯარით გაცემა ბორანისა, რომელიც მუხრანის ქუჩის და რიყეს შუა არის გაკეთებული, 1 იანვრიდგან 1895 წლიდგან 3-ის წლის ვადით. პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში დილის 10 საათიდგან 12 საათამდე.

(3—1)

## ტფილისი, 4 ივნისს

ბათუმიდან გვწერენ, რომ იქ ერთი ყოვლად დაუჯერებელი ხმა დაუყრიათ ქალაქის არჩევანების შესახებ. აქამდე ბათუმის მოურავს ნიშნავდა მთავრობა და მცხოვრებნი მოკლებულნი იყვნენ მოურავის ამორჩევის უფლებას. მაგრამ წელს ბათუმელები სრულიად დარწმუნებულნი შეიქნენ, რომ ბათუმი აღარ იქნებოდა ჩამორჩენილი ამ მხრივ სხვა ქალაქებს და იმასაც მიეცემოდა ყველა ის უფლება, რომელიც მინიჭებული აქვს სხვა ქალაქებს „საქალაქო დებულებით“.

ამ მოლოდინით ბათუმის მცხოვრებნი ნუგეშობდნენ და ეძებდნენ სასძოხნო და სამოურავო კაცებს. სწორედ ამ დროს ვიღაც ღვთის მტერი ერთიანად უსპობს და უწამლავს ბათუმელებს იმ სასიამოვნო იმედს, რომ თქვენის ქალაქის გამგეს და ჭირისუფალის ამორჩევის უფლება თქვენ არ გექნებათ მონიჭებულიო.

ადვილად მისახვედრია, რომ ეს საარჩევანო ოინი უნდა იყოს, თორემ მთავრობა რა-კი ერთხელ დაადგა იმ აზრს, რომ ბათუმის მკვიდრთა უფლება გაეთანასწორებინა სხვა ჩვენის ქალაქების მცხოვრებთა უფლებასთან, ამ აზრს აღარ უარ-ჰყოფდა სწორედ მაშინ, როდესაც უკვე არჩევნებზედ მიდგა საქმე.

კიდევ ვფიქრობთ, რომ ეს ნამდვილად საარჩევანო ოინია და მთავრობას არავითარი განზრახვა არ ექნება, რომ ფოთელებს, ქუთათურებს, გორელებს და თუნდ ტფილელებსაც განსაკუთრებული უპირატესობა მიანიჭოს და ბათუმელები-კი გამოაკლოს ამას.

„საქალაქო დებულება“ საზოგადოდ არის დაკანონებული და ამიტომ ყოვლად შეუძლებელია, რომ კანონმა ერთს გადაუშალოს კალთა წყალობისა, ხოლო მეორესთვის დაიშუროს, ერთს დედობა გაუწიოს, მეორეს-დედინაცვლობა, უმიზეზოდ, უსაბაბოდ.

კიდევ ვიტყვით: სრულიად საფიქრებელი არ არის, რომ ბათუმელები გამოკლებულნ იყვნენ საზოგადო უფლებას, ქალაქის მოურავის ამორჩევისას რადგან ეს წესი საერთო საყოველთაო წესია და ამ მხრივ თითოეულის ქალაქისათვის განკერძოებული კანონი არ არსებობს.

მეველე

## ახალი ამბავი

*** 24 აპრილს 1879 წელს უმაღლესად დამტკიცებულის წესის ძალით ქალაქებში დაარსებულ გამსესხებელ კასსებს შეუძლიათ სესხის გაცემა გირავნობის მიღებით მხოლოდ ფულად. მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრი ცნობა შეუკრებია ამის შესახებ და შეუტყვია, რომ სხვა და-სხვა ქალაქებში ამისთანა კასსების პატრონები ფულის გარდა თურმე პურითაც და სხვა ხორაგეულითაც იძლევიან გაჭირვებულ ხალხზედ სესხსა; კვიტანციებში-კი სესხის გამტანს უცხადებენ, ვითომ ამას სესხად ფული გაუტანია.

სამინისტროს ესეთი ამბავი მავნებლად უცვნია, რადგან ადვილად მოხდება, რომ გამსესხებელ კასსების პატრონები ჩაითრევენ გაჭირვებულ მსესხებელსა დიდს ზარალში, საჭიროდ დაინახა ესეთი ჩვეულების მოსასპობლად გუბერნატორებმა საშუალება იხმარონ. თანახმად ამ წინადადებისა, ტფილისის გუბერნატორმაც ამ დღეებში ბრძანება გასცა ყველა მაზრის უფროსებს, ტფილისისა, ახალციხისა და გორის საქალაქო გამგეობებს, რომ ზემოხსენებული უმაღლესად დამტკიცებული წესი მტკიცედ იყოს დაცული და გამსესხებელმა კასსებმა მხოლოდ ფულად გასცენ სესხიო.

*** ამას წინად, როგორც უწყით, ტფილისში გარდაიცვალა ცნობილი სოვდაგარი ი. ა. ჩითახოვი, რომელმაც საკმაოდ დიდი შეძლება დასტოვა. განსვენებულს დარჩა ორი ქალიშვილი. ამ ქალიშვილებს თავისის მამის სახსოვრად გადაუდვიათ 6,000 მანეთამდე სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საქმეებისათვის და, სხვათა შორის, 300 მანეთი შეუწირავთ წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლისათვის.

*** გუშინ-წინ, 2 ივნისს მამადავითობას მთაწმინდაში დილიდგან დაწყებული საღამომდე მრავალი ხალხი მოდიოდა, როგორც ქალაქში მცხოვრები ისე ახლო-მახლო სოფლებიდგან. დილის 10 საათზედ მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ექსარხოსი ვლადიმირი, რომელმაც წ. დავითის ეკკლესიაში სწირა და წირვის შემდეგ პარაკლისი გადიხადა თავისის მგალობლებით.

უნდა აღვნიშნოდ, რომ პოლიციის რიგიანის განკარგულებით სრული წესიერება სუფევდა მთელს დღეს ეკკლესიის გარშემო.

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ქალაქის მილის წყალი ბევრგან სულ გაფუჭებულია. ამის გამო ხალხი დიდს შეწუხებაშია თურმე. სიცხეები უკვე დაიწყო ქალაქში და ამ დროს უწყლოდ დარჩენა, მოგეხსენებათ, არ არის ადვილი საქმე. საჭიროა სასტიკი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ჩვენმა ქალაქის გამგეობამ და საბჭომ.

*** გუშინწინ, 2 ივნისს, ავლაბრის ხიდ ქვეშ წყალმა შეიტყუა მორევში ერთი რუსი, რომელიც ოთხს ცხენს აბანავებდა. ცხენები სულ დაეღუპა, ხოლო თვითონ, როგორც იყო, გადაარჩინეს სიკვდილსა. როცა გონს მოვიდა, კიდევ წყალში უნდოდა გადავარდნა: 'ეხლა სახლში რაღა პირით დავბრუნდეო.

*** ჩვენ ამას წინად გამოვაცხადეთ, რომ გომბორისა, უჯარმისა, კოჯრისა და პრიუტის საფოსტო სადგურების მოიჯარადრენი დაავალეს, რომ სამ-სამი ცხენი მოემატნათ სათითაოდ ამ სადგურებზედ; ეს ცხენები კიდეც მიუმატეს. ეხლა ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამდენივე ცხენი მიუმატნიათ თიანეთის საფოსტო გზაზედაც მხოლოდ მამკოდის სადგურზედ. ტფილისის გუბერნატორს უბრძანებია მაზრის უფროსისათვის, ეს ცხენები და ამათი საჭირო სამკაული შეამოწმეთ თიანეთის საფოსტო განყოფილების უფროსის თანადასწრებით, რომ რაიმე ნაკლი არ იყოს იჯარადარის მხრითაო. ეს მეტი ცხენი მხოლოდ ოქტომბრის 15-მდე იქნება სავალდებულო იჯარადრისათვის, რადგან მხოლოდ ამ დროს განმავლობაშია შედარებით უფრო დიდი მოძრაობა წამსვლელ-წამომსვლელთა.

*** ამას წინად ყარაიას სადგურზედ ლენქორანიდამ წამოყვანილი საკლავი საქონელი ჩამოიყვანეს რკინის გზით და აქვე საძოვარზედ გამორეკეს; სულ იყო 125 სული საქონელი. მალე აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი საქონელი ჭირით ავადმყოფი იყო. ტფილისის მაზრის უფროსმა, რომელსაც ეს ამბავი მოხსენდა ყარაიის ბოქაულისაგან, საჩქაროდ აცნობა საგუბერნიო მთავრობას, რომელმაც დაუყოვნებლივ ბეითალი გაჰგზავნა, რომ დაემტკიცებინა, მართლა ჭირია ამ საქონელში თუ არა და პირველს შემთხვევაში საჭირო საშუალებები ეხმარა ამ სენის მოსასპობლად. გარდა ამისა, ტფილისის მაზრის უფროსმა ეს გარემოება აცნობა

## ფელეტონი

### ქ. ახალციხე და საფარის მონასტერი.

(შემდეგი*)

წმ. მარინეს ეკკლესიაში ამ ჟამად დაცულია სამი ხუცური ხელ-ნაწერი: ერთი სახარება და ორი სამოციქულო. სახარება შეიცავს 234-ს ნაწერს ფურცელს და თითო ფურცელი სიგძით სამ გოჯზედ ცოტა მეტი იქნება, მხოლოდ სიგანით—სამი გოჯი. ჩასმულია ვერცხლით მოჭედილს ყდაში და დაფერილია ოქროთი. შიგა და შიგ ჩართული აქვს შემდეგი სურაითები მხედრულის წარწერებით, გარდა მატთე მახარებლისა, ლუკასი და იოანე ღვთის-მეტყველისა, სურათების სახელები აწერია ხუცურად:

1., მათე მახარებელი, 2, მოგვთაგან თაყვანისცემა, 3, ანგელოსი ღვთისა გამოუჩნდა ჩვენებით იოსებს და რქვა, აღდეგ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი და ივლტოდე ეგიპტედ; 4, ხოლო იგი აღსდგა და წარიყვანა ყრმა იგი და დედა მისი ღამე და წარვიდა ეგიპტედ; 5, გამოცდა ეშმაკისაგან: ქვათ რქვა რათა პურად შესცვალნეს. 6, აღვიდა იესო მთასა და ასწავებდა ერსა. 7, რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვინიერ სიტყვისა სიძვისა მან იმრუშა და რომელმან განტევებული შეირთოს მაცა იმრუშა. 8, მათე მახარებელისა მეზვერეობისაგან მოციქულად გამორჩევა ქრისტესგან. 9, და რქვა განრღვეულსა მას იესო, აღდეგ აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა, ხოლო იგი მეყსეულად აღსდგა. 10, ჰპოვა იესო შესაკრებელსა შინა კაცი, რომელსა ხელი განხმელ მისსა ედგა და რქვა მას, განირთხ ხელი შენი, და განკურნა იგი 11, იოანე ნათლისმცემელი შებორკილებული საპყრობილესა შინა იროდის მიერ. 12, გარდამოვიდა პეტრე ნავით და ვიდოდა წყალთა ზედა და მოვიდოდა იესოსა. 13, დედაკაცი ქანანელი, რომელი ევედრებოდა განკურნებასა ეშმაკეულისა ასულისა თვისისასა, და განკურნა იესომ სიტყვით სარწმუნოებისამებრ მისისა. 14, მოუწოდა იესო ყრმასა და დაადგინა შორის მოწაფეთა თვისთა და რქვა, უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა. 15, ჰრქვა უფალმან სავენახისამან ეზოსმოძღვარსა თვისსა, მოუწოდე მუშაკთა ვენახისათა და მიეცა სასყიდელი. 16, რქვა იესო მომართვით მე დრაჰკანი, ხოლო მათ მოართვეს ხარკსა, და რქვა მათ მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღ-თსა. 17, რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი სავაჭროდ. 18, შეიპყრეს იესო და მიიყვანეს კაიაფასა მღვდელ-მთავრისა. 19, ვიდოდა იესო ზღვის კიდესა გალილიასასა, იხილა სიმონ და ანდრია ძმა მისი ითხევლიდეს რა ზღვასა, ხოლო მათ დაუტევეს ბადე და შეუდგეს მას.

20, კეთროვნის განკურნება. 21, ზღვის ღელვის დაყუდება ქრისტესგან. 22, ეშმაკეულთა კურნება ქრისტესაგან. 23, იოანე ნათლისმცემლის თავის წარკვეთა. 24, ოთხიათასის კაცისა შვიდის პურით განძღომა უდაბნოსა ადგილსა. 25, ქვეყნის მომქმედთაგან სიკვდილი ძისა ვენახის უფლისა მათისა 26, ამბორის ყოფით მიცემა ქრისტესი იუდასაგან ურიათადმი. 27, პილატესაგან განკითხვა ქრისტესი სამსჯავროსა შინა. 28, ფუცხვითა ცემა ქრისტესი ურიათაგან. 29, ეკლითა დაგვირგვინება ქრისტესი ურიათაგან, და პირსა ნერწყვა. 30 კარდახშულთა შესვლა მოწაფეებათა თანა. 31, ლუკა მახარებელი. 32, ზაქარიას დადუმება ტაძარსა შინა. 33, ხარება ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა. 34, აღდგა მარიამ და წარვიდა მთად კერძო და შევიდა სახლსა ზაქარიასსა და მოიკითხა ელისაბედ 35, ხორცითა წინა დაცვეთა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. 36, მართლისა სიმეონისა მკლავთა ზედა მირქმა უფლისა ჩვენისა 37, ტაძარსა შინა მჯდომარე იესო ათორმეტისა წლისა შორის მოძღვართა ისმენდა მათსა და ჰკითხვიდა მათ. 38, ქრისტე სახლსა ფარისევლისასა მჯდომარე, სადაცა ცოდვილმან დედაკაცმან სცხო ფერხთა მირონი და თმითა თვისითა წარხოცნა. 39, ფერისცვალება უფლისა მთასა თაბორსა. 40, გამოირჩინა უფალმან სამეოცდა ათნი მოწაფენი და წარავლინნა იგინი ორორი ყოველსა ქვეყანასა ქადაგებად. 41, შევიდა იესო დაბა რომელსამე და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისა სახელი მართა და შეიყვანა თავადი სახიდ თვისსა, ხოლო და მისი მარიამ დაჯდა ფერხთა თანა იესოსთა და ისმენდა სიტყვათა მისთა, ხოლო მართა მიმოდზრუნვიდა მსახურებისათვის. 42, წარწყმედულისა ცხოვარისა მოძიება და ბეჭთა ტვირთვა. 43, მოქცევა უძღებისა შვილისა მამისადმი მოწყალისა. 44, მდიდარი და გლახაკი ლაზარე. 45; განკურნება ქრისტესგან ათთა კეთროვანთა კაცთა. 46, ზაქე მეზვერე, აღსასრული ლეღსულელსა ხილვად იესოსა. 47,

*) იხ.) „ივერია“, № 114.

რკინის გზის უფროსს და სთხოვა ჯერ ეცნობებინა, როგორ მოხდა, რომ ავადმყოფი საქონელი ჩამოიყვანეს რკინის გზითაო და მერე მოეხდინა განკარგულება შესახებ იმისა, რომ ყველა ვაგონი, რომლითაც-კი ზემოხსენებული 125 სული საქონელი ჩამოიყვანეს, წამლებით დაეწმინდათ და არამც და არამც ჯერ ხანად არ დაეკლათ.

რკინის გზის უფროსმა პასუხად აცნობა თავ. ჯანდიერს, რომ ყარაიასში 125 საქონელი ჩამოიყვანეს ქურდამირის სადგურიდამ, სადაც ლენქორანიდამ იყო მორეკილი ორის თათრისაგან. ეს საქონელი სრულიად ჯან-მრთელი იყო მაშინაც-კი, როცა ყარაიასში გადმორეკეს და არა თუ ამ საქონელში, ადგილობრივ ყარაიას მცხოვრებლების საქონელშიაც არა ყოფილა იმისი მაგალითი, რომ ჭირით საქონელი მომკვდარიყოსო. მაგრამ რკინის გზის უფროსი, ბ-ნი ფრიდე, იმას ამბობს, რომ რადგან საეჭვოთ გახდა საქმე, მე განკარგულება მიველი, ის ვაგონები, რომლითაც ზემოხსენებული საქონელი ჩამოიყვანეს ყარაიასში, წამლებით გასწმინდონ და არამცა და არამც არ გამოიტანონ გზაზედ საქონლის სატარებლად, სანამდე ექვს გარეშე შეიქნებოდეს.

*** აფხაზეთი: აქეთ კაცის კვლა ძრიელ გაადვილდა. სრულიად უმიზეზოთ ესვრიან კაცს რევოლვერს და გააგორებენ. მკვლელი ტყე-ველად გარბის.

*** იქიდამვე: თამბაქოს წარმოება სოხუმის მაზრაში ძრიელ კარგად მიდის, უბედურება ის არის მხოლოდ, რომ აქ ჩამოეთესლა პეტერბურგელ თამბაქოს ამხანაგობის წევრი, რომელიც ძრიელ ავიწროებს მწარმოებელთ. რამდენიმე საქმე კიდეც სწარმოებს სამსჯავროში.

*** სოფ. ახალგორი. (დუშეთის მაზრა): აქ წითელამ იჩინა თავი და ზარალსაც აძლევს ხალხს, ერთს გლეხ-კაცს ერთს კვირაში სამი ვაჟიშვილი მოუკლა ამ მოარულმა. ჩვენთვის არც მკურნალი, არც ფერშალი, არც აფთიაქი სადმე. ვართ ასე საცოდავად და, თუ ძრიელ გაგვიჭირდა, დუშეთიდამ უნდა გადმოვიყვანოთ მკურნალი. სინამ ან ის ან წამლები მოგვასწრობდეს, ავადმყოფი სულსა ჰლევს.

მოსავალს ჯერ ჯერობით, კარგი პირი უჩანს და თუ არა გაუჩნდა-რა, იმედია, ღმერთი კარგს მოსავალს მოგვცემს.

*** სოფ. ფშაველი (თელავის მაზრა): ეს ხუთი წელიწადია, რაც ამ სოფელში ძველი ეკლესია დაანგრიეს და შეუდგნენ ახალის აშენებას, მაგრამ არიქნა, არა ეშველა რა, ვერ დაასრულეს აშენება. ყოველ წელიწადს აშენებენ ორის არშინის სიმაღლეზე, მაგრამ დაუდევრობისა გამო თითქმის ნახევარი ისევ ჩამოიქცევა ხოლმე, და არის უწირვალოცოთ დარჩენილი მთელი სოფელი. თუმცა ორის-ვერსის სიშორეზე ს. ლალისყურში (ს. ფშავლის სამამასახლისო და მღვდელიც ერთია ორგანვე) არის სამწირველო ეკლესია, მაგრამ იქ სიარულის ნებას არ აძლევს მცხოვრებლებს შფოთიანი მდინარე სტორი, რომელიც ამ სოფლებს შუაზედ ჩამოუდის.

აქეთკენ პურის მოსავალი ძალიან ნაკლებად არის და იმედი არა აქვთ, რომ წლევანდელმა ყანებმა აქაურ მკვიდრთ წლის საკმარისი პური მისცეს.

ვენახებზედ კი ჯერ ჯერობით არა ითქმის რა; თუმცა ასხია საშუალოდ, მაგრამ მისი ავ-კარგიანობაც მომავალს ამინდზედ არის დამოკიდებული.

*** სოხუმი: 16 მაისს სოხუმში მოვიდა პეტერბურგიდამ ბ-ნი აბაზა, რომელსაც მინდობილი აქვს შეიტყოს ავკარგი შავის ზღვის-პირად მდებარე ალაგებისა.

*** იქიდამვე: მეურნეობისა და სახემწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული სთხოვს ქ. სოხუმს ორმოც დესეტინა ადგილს, საცა აპირებს სამინისტრო სამაგალითო ყანებისა და ბაღების გაშენებას. ქალაქს სამაგიეროდ აძლევენ ერთი სამად მეტს სახემწიფო ადგილს. ქალაქი, რასაკვირველია, თანახმაა მისცეს ზემოხსენებულ ადგილი.

*** სოფ. ნალვარევი (დუშეთის მაზრა): 29 მაისს, საღამოს 4 საათზედ მოვიდა საშინელი სეტყვა, რომელმაც თითქმის ერთს საათს გასტანა. ახლად გამოსახულს ხეხილს ნაყოფი და ფოთოლი აღარ შერჩინა. ჯერ სიცივის გამო დაგვიანდა მიწის მოსავალი და, რაც-კი ამოსული იყო, ისიც. სულ სეტყვამ გაანადგურა. როგორც შევიტყეთ, სეტყვამ დიდი მანძილი დაიტანა და სოფ. ქვემო-მლეთამდის უწია, თითქმის 20 ვერსის მანძილზედ. ერთგან სეტყვამ ცხენები ისე გაამწარა გზაში, რომ დაგიჟდნენ, ეტლი გადააბრუნეს და კინაღამ ქვეშ მოიტანეს მგზავრიცა და მეეტლეც.

*** აბისი (ქართლი): კარგა ხანია, რაც სოფელ აბისში (ოქონის სამამასახლისო) გაჩნდა რაღაც გვარი ჭირი საქონლისა; ეს სენი სამს დღეზე ჰკლავს ცხენსა თუ სხვა გვარ პირუტყვს. პირველად გაუჩნდება რომელსამე ალაგას დიდი მუწუკი, სამს დღეს შემდეგ მუწუკი ერწყვის. თუ პირუტყვმა ამ სამს დღეს გაუძლო მუწუკს, იმედია, მორჩეს მაგრამ ვერ უძლებს.

არც ხალხშია საღიანობა, ესეთივე მუწუკი უჩნდება კაცსაც და ასახიჩრებს: ზოგს თვალის ქვედა ქუთუთო ჩამოადღლიძა და ზოგს ყელში ვაუჩნდა და დაარჩო. ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც იცის ეს გარემოება და, არ ვიცით, ყურადღებას რატომ არ აქცევს.

*** თელავი: წასრულს ორშაფათს, 30-ს მაისს, თელავის საზოგადო ბაღში საღამოს ცხრა საათზედ ერთი ვაი-ვაგლახი და შიშის ზარი დატრიალდა ბაღში მოსეირნეთა შორის. ორ ახალგაზდათ ბ-ნ მ-ძეს და ბ-ნ მ-ოვს ლაპარაკი მოუვიდათ და ისე გაცხარდნენ, რომ ერთმა ხანჯალზედ იტაცა ხელი და მეორემ რევოლვერი ამოიღო. მ-ძე პირშია დაჭრილი რევოლვერით. ჭრილობა ძლიერ საშიშო არა აქვს..

*** „Нов. Обоз.“-ში სწერია: განზრახვა აქვთ საჩივარი შეიტანონ, სადაც ჯერ არს, რომ არჩევანი გორის მარშლის და მისის კანდიდატისა, უკანონოდ უნდა იქმნას ცნობილი, რადგან უკანონო იყო ის ხელ-წერილი, რომელიც არჩევანის დროს შეადგინათ და ზედ ხელს აწერინებდნენ ამომრჩევლთაო.

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ შემდეგს ამბავს: ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ ბანკის კრების კანონიერებაზედაც ეჭვი შეუტანია ზოგიერთს წევრს კრებისას და უნდათ იშუამდგომლონ, საცა ჯერ არს, მის გარდაწყვეტილებათა გაუქმებისათვის. უკანონობა იმ კრებისა, სხვათა შორის, ის იყოვო, რომ უგანათლებულესნი თავადნი პ. და მ. ალ.—ძენი გრუზინსკები, რომელთა შორისაც პირველი არჩეულ იქმნა ზედამხედველ კომიტეტის თავსმჯდომარედ, ხოლო მეორე—გამგეობის წევრად, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კი არ ეკუთვნიან, არამედ მოსკოვისასაო. ჩვენის აზრით, ამ ხმას საფუძველი არა აქვს. თთ. გრუზინსკები იქმნება მართლა დეპუტატთა საკრებულოს დავთრებში არა სწერიან, გარნა უკვე დიდი ხანია, რომ იმათ მინიჭებული აქვთ ყოველივე უფლება კავკასიის მკვიდრთა (მაგალ. განთავისუფლებულნი არიან სამხედრო ბეგარისაგან). ამას გარდა, ბანკის წესდება სრულებითაც არ ითხოვს, რომ მისნი მოხელენი უთუოდ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ეკუთვნოდნენო.

*** უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორმა კ. პ. პობედონოსცევმა მიჰმართა გუბერნატორებს და სთხოვა ხელი შეუწყონ წერა-კითხვის სასწავლებლების გავრცელებას. კ. პ. პობედონოსცევი საჭიროდა სთვლის, რომ: 1, ყოველს მაზრაში ორი ანუ მეტი ორ-კლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელი იყოს დაარსებული სამასწავლებლო და სასოფლო სამეურნეო კურსით წერა-კითხვის სასწავლებლების მასწავლებელთა მოსამზადებლად; 2, ეკკლესიების მოშორებით სოფლებში აგებულ იქმნას შენობანი წერა-კითხვის სასწავლებლებისათვის იმ გეგმითა და ხარჯთაღრიცხვით, რომელიც შედგენილი იქმნება ადგილობრივ საეპარქიო საბჭოსა და საერო მმართველობასთან მორიგებისამებრ; 3, ყოველ წლივ წერა-კითხვის სასწავლებელს ერობის თანხიდგან შემწეობა დაენიშნოს 25-დგან 100 მანეთამდე, ადგილობრივ შეძლებისა და საჭიროებისამებრ, და 4, დაურიგდეს ამ სასწავლებლებს სახელმძღვანელონი უწმიდესს სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოსაგან, რომელმაც იზრუნა და განსაკუთრებით ამ წერა-კითხვის სასწავლებლებისათვის გამოსცა შინაარსით გასაგები და ფასით ადვილად მისაწვდომი სახელმძღვანელონი („Русск. Жизнь“-ი).

„Гражданинъ“-ის სიტყვით, უწმიდესს სინოდს გადაუწყვეტია მოახდინოს ყოველ მხრივი რევიზია საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლებისა.

*** 2 ივნისს ახალ სამების ქუჩაზე ჯარის კაცად ნამყოფმა 72 წლის აპოლონ ზიმინმა თავი ჩამოირჩო თავის სადგურში.

*** ამავე დღეს აზნაურმა ნიკოლოზ კიმოთეს ძემ მახათაძემ თავის მოკლვა განიზრახა ნახევარ-უნცი ოპიუმი დალია, მერე თავის ნაცნობთან წავიდა, თან წაიღო ოპიუმი და იქაც დალია. მახათაძე სამკურნალოში გაგზავნეს და 5 საათის შემდეგ გარდაიცვალა

## ნაწყვეტი

ხალხს უნდა მოსარჩულებლად
გმირი თავ-გამოდებული:
ჰქონდეს მას ცოდნა ყოვლისა,
შკა-გრძნობა განცისკრებული,
მჭევრ-მეტყველება უგავდავი,
დიდებული და ქებული,
ღვთის ტრაპეზამდის სიწმიდით
და სიბრძნით ამაღლებული.

დ. მაჩხანელი

## თავადის ზაქარია ერისთავის წერილი

გაზ. „Нов. Об.“-ეში დაბეჭდილია შემდეგი წერილი თ. ზ. გ. ერისთავისა:

„მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! შევიტყე, რომ ერთს ამომრჩეველს ძალიან გაჰკვირვებოდა თავად-აზნაურთა კრებაზედ და ეთქვა ჩემზედ, ეს რა ამბავია ნეტავ, რომ კაცი ამდენს ხანს განდეგილივით ცხოვრობდა და ახლა თავი გამოუმეტებია საზოგადო სამოღვაწეოდაო. თვითონ მეცა ვგრძნობდი, რომ ბევრს გაუკვირდებოდა ჩემი საქციელი და ამი-

---

და იხილა იესო ქალაქი იერუსალიმი და სტიროდა მას ზედა. 48, პეტრე მოციქულისაგან უარის ყოფა ქრისტესი. 49, შემდგომად აღდგომისა გამოცხადება ქრისტესი ლუკას და კლეოპას მიმართ ევმაუსის გზასა ზედა. 50, ხორცითა ამაღლება ქრისტესი ზეცად. 51, იოანე ღვთის-მეტყველი. 52, კანას გალილიას სასწაული, ოდეს წყალნი ღვინოდ შესცვალნა ქრისტემან. 53, ნიკოდიმოს მთავარი ურიათა ღამე მოსრული ქრისტეს თანა. 54, იოანე ნათლის-მცემლის ქადაგება. 55, ხუთის პურით ხუთიათასის კაცის განძღომა. 56, მკვდრეთით აღდგინება ლაზარესი. 57, იერუსალიმში შესვლა ქრისტესი ბაიათა და რტოებითა. 58, რქვა პილატე ურიათა მათ, აჰა მეუფე თქვენ. ხოლო იგინი ღაღადებდეს და იტყოდეს, აღიღე, აღიღე და ჯვარს აცვ ეგე. 59, ხოლო მათ წარიყვანეს იესო და ეკიდა თვით ჯვარი თვისი. 60, გარდამოხსნა ქრისტესი ძელისაგან და საფლავსა დადება. 61, თომასაგან მკერდის განხილვა ქრისტესი. 62, ტიბერიის ზღვასა ზედა ნადირობა მოციქულთაგან, სადაცა გამოეცხადა ქრისტე შემდგომად აღდგომისა.

მატთეს სახარების თავში სწერია შემდეგი: „ზახარია მოძღვრის ძემან გაბაონმან ოსე პროთოიერმან აღვსწერე ქრისტესი ესე სახარება. ექსორიობასა შინა მყოფმან რუსეთს, ქალაქსა მცირესა—ბელელოროთისასა. მონასტერსა წმიდისა და საკვირველთ მოქმედისა ნიკოლაოსისასა. მოსახსენებლად საუკუნოდ იმერთა დედოფლისა ანნასთვის. რამეთუ ესე მზრდიდა ყოვლად უხვებით. ღმერთო შენ განადიდე სახელი ამისი“. იოანეს სახარების ბოლოს: „ზახარია მოძღვრის ძემან პროთოიერმან ოსე ღაბაონმან აღვსწერე მთხოვნელმან ყოველთა შენდობისა“. სულ ბოლოს: „დიდება მადლობა და თაყვანის ცემა სრულ-მყოფელსა დამბადებელსა, და განმაშვენებელსა ყოველთა არსთასა, რომელი ესე სრულ ვყავ შეწევნითა მისითა ექსორიობასა შინა ქალაქსა ბელელოროთისასა მონასტერსა შინა წმიდისა და საკვირველ მოქმედისა ნიკოლაოსისასა, მათისა უმაღლესობისა იმერთა დედოფლისა ანნასთვის, რომლისა მოხსენება იყავნ საუკუნოდ. მე ზახარია მოძღვრის ძემან ოსე პროთოიერმან გაბაონმან მთხოველმან ყოველთა აღმომკითხველთა შენდობისამან, რათა თქვენცა შენდობილ იქმნნეთ ყოვლად წმინდისა სულისამიერ და განხსნილ ცოდვათა მიერ მერმესსა მას სამსჯავროსა საშინელსა ქრისტეს ღვთისასა ამინ, ამინ, ამინ, ხოლო აღწერა მწუხარებასა შინა და ურვასა მიასის იბ. ქ̃ეს. აქეთ ჩყვდ. დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა. რამეთუ შენ მხოლოსა გშვენის დიდება, და ქება და თაყვანის ცემა: ჰოი ვითარ სანატრელ არს და საწადელ ხსენება მათისა უმაღლესობისა დედოფლისა ანნასი. რომელიც უცხოდ გვზრდიდა უცხოთა უცხოებასა შინა ყოვლითურთ უნაკლულოდ სრულ მყოფელი ჩვენისა სიმდაბლისა-უცხოთათვის და ცოდვილთა სიმდაბლით მოსრულმან ქრისტემან ღმერთმან მერმესა მას საუკუნოსა სასუფეველსა თვისსა უცხოთა დიდებისა გვირგვინითა შეამკოს ყოვლად მშვენიერი თხემი მისისა და ძისამისისა კოსტანტინესი.“

სამოციქულო ერთი შეიცავს 234 ნაწერს ფურცელს და თითო ფურცელი სიგძით სამი გოჯი იქმნება, სიგანით $2^1/_2$, მხოლოდ მეორე—216 ფურცელს სიგძით 5 გოჯზე ნაკლებს და სიგანით 3 გოჯს. ორივე სამოციქულო, როგორც სახარება, ჩასმულია ვერცხლით მოჭედილს ყდაში და დაფერილია ოქროთი.

პირველ სამოციქულოს ჩართული აქვს შემდეგი წარწერანი ტექსტის ხელით: ა.) „უფალნო ჩემნო, და თანა წარმავლნო ჩემ უღირსისა თანა. ლოცვით მომიხსენებდით აღმწერელსა ამისსა გაბაონს ოსეს ძესა ზახარია მოძღვრისასა, რომელმანცა ვიწყე წერად სამოციქულოსა ამის. ექსორიობასა შინა რუსეთს, ქალაქსა ბელოღოროთისასა მონასტერსა წმიდისა და საკვირველთ-მოქმედისა ნიკოლაოზისასა. თთვესა ოკტომბერსა. დ. დღესა. ქრისტეს აქეთ ჩყკა: „ზ.)„ ესე ვიწყე ექსორიობასა შინა ქალაქსა ბელოღოროთისასა მონასტერსა წმიდისა ნიკოლაოსისასა მე ზახარია მოძღვრის ძემან ოსე ღაბაონმან. „გ)“ გაბაონმან ოსე აღვწერე სამოციქულო ესე.“ დ.) „განსრულდა პყრობილებასა შინა რუსეთს ქალაქსა ბელეღოროთისასა. მონასტერსა შინა წმიდისა და საკვირველთ მოქმედისა ნიკოლაოსისასა: ქ̃ეს. აქეთ ჩყვზ. ია დღესა‹ მე ყოვლად უღირსმან პროთოიერმან გაბაონის ზახარია მოძღვრის ძემან ოსე აღვსწერე ფრიადისა შრომითა სამოციქულო ესე ყოვლად სრული, და ვითხოვ მხილველთა მიერ შენდობასა, რათა ღმერთმან თქვენცა შეგიწდვნეს ცთომანი და ღირს გვყვნეს საზოგადოსა მას ყოველთა აღდგომასა დამკვიდრებად წმიდათა თანა უკუნითი უკუნისამდე: ამინ, ამინ, ამინ.“ ე.) „განსრულდა სამოციქულო ესე სადიდებელად მამისა ღვთისა და ძისა, და ყდ. წმიდისა სულისა. ამინ. ოსეს მიერ გაბაონისა, რომელიც ყოველთა მიერ შენდობასა მოქენეობს. თვესა

ტომ მინდოდა ან თვითონ მე, ან ჩემთა მახლობელთა პირით მეუწყებინა პატივსაცემ კრებისათვის, რა აზრითაც ვხელმძღვანელობდი; მინდოდა ამასთანავე გამომერკვია, რა გვარად ვფიქრობდი მოქმედებას შემდეგისთვის. მაგრამ რაკი შემეშინდა, ვაი თუ იფიქროს ვინმე, ასე იმიტომ ქცევა, რომ საარჩევანო ლელო უნდა გაიტანოსო, თავი დავანებე ამ განზრახვას. ახლა არჩევანები გათავდა და ზნეობრივად მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს თქვენის გაზეთის შემწეობით გავარკვიო ეს ამბავი. ჩემი სიცოცხლის ნახევარ-ხანი მთლად ჩემს ავადმყოფ მშობლებს შევსწირე და მსურდა, რომ დანარჩენი ნახევარ-ხანი ქვეყნის სამსახურისათვის შემეწირნა. ჩემს თავს ნებას არ მივცემ, დავემდურო იმათ, ვინც შავი კენჭი მომცა და ვისაც, შესაძლოა უნდოდა მით ეთქვა ჩემთვის, რაკი იმდენის ხნის სიცოცხლე შესწირეთ შვილის მოვალეობის შესრულებას თქვენთა მშობელთა წინაშე, ამიტომ იმედი არ უნდა გქონოდათ, რომ უმაღლესი წოდება დიდის ნდობით მოგეკიდებოდათო. თავს ვიხრი წინაშე ქვეყნის გარდაწყვეტილებისა და ღრმა მოწიწებით და სულითა და გულით ვმადლობ იმ ას-ერთს ამომრჩეველს, რომელთაც შეიწყნარეს, შემინდეს იმდენს ხანს ჩემი არ-ყოფნა მათ შორის და დაიჯერეს, რომ სწორედ მთლად და სავსებით, სულითა და გულით ვიყავ მონდომებული ძვირფასისა და ჩემ მიერ დიდად საყვარელის თავად-აზნაურობისათვის შემსახურნა."

## კორესპონდენცია

**სოფ. ბორჩხა** (ჭოროხის ხეობა), 18 მაისი. გუშინ, 17 მაისს, ერთი საცოდაობა მოხდა ჩვენს ხეობაში. მოგეხსენებათ, რომ კაპანდიდიდგან დაწყებული თითქმის ქ. ართვინამდის ბათუმ-ართვინის გზა-ტკეცილი სულ ჭოროხის ნაპირ-ნაპირ მიდის. 17 ამ თვისას არდანუჩის საბოქაულოდგან (ართვინის ოლქია), მიჰყვანდათ ორი ტუსაღი, მეორე სოტნის ჯარის კაცებს ბათუმის საპყრობილეში; ტუსაღები ცოლ-ქმარნი ყოფილიყვნენ. ქმარს ხელებსა და ფეხებზე ბორკილი ჰქონდა და ცოლი კი თოკით იყო შებოჭილი. ცოლი უფრო ხნიერი იქნებოდა, ვიდრე ქმარი. ბორჩხის ქვემოდ, ხუთის ვერსის მანძილზედ, სოფ. კელასკურთან რომ მისულან იქ, საცა დიდი კლდეა რომელსაც ქვეშ ჭოროხი ჩაურბის, ამ ცოლს ქმრისთვის უკრამს ხელი, გადაუგდია ჭოროხში და თვითონაც გადაჰყოლია თან. ორივენი დაიღუპნენ. კაცი სულ ველარსად ველარა ჰნახეს; დედა-კაცი-კი, როგორც ამბობენ, მეორე თუ მესამე დღეს უნახავთ ზღვის პირას, ცოლ-ქმართ ჰბრალდებოდათ თურმე თავიანთ სტუმრის დახჩობა და მერე დაწვა ცეცხლში. როგორც სჩანს საქმიდგან, ეს მკვლელობა ჩაუდენიათ იმისთვის, რომ ბლომად თურმე აგულებდნენ სტუმარს ფული და, რადგან მეტად ღარიბნი ყოფილან, გაუბედნიათ ასეთი საშინელი საქმე და მით დაუგმიათ აქაური ადათი და მტკიცე ჩვეულება სტუმართ-მოყვარეობისა. სასურველია, რომ ამის იქით მაინც ბეჯითად ადევნონ თვალ-ყური ყარაულებმა და გადაარჩინონ ხოლმე ასეთს საცოდაობას. აქაურნი მაინც ძრიელ უფრთხიან სამართლის ხელში ჩავარდნას და ბრალდებული მართალიც რომ იყოს, იმასა სცდილობს სულ, რომ როგორმე თავი დაახწიოს ციხესა და სამართალს.

აქაურობა რომ სულ დაიაროთ, იმისთანა მიყრუებულსა და გლახა ხეობას ვერ ჰნახავთ, როგორიც არის ბელღევნის ხეობა. ამ ხეობას მეტ სახელად ყარა-დერეს (შავი ხეობაო) ეძახიან. შარშან დეკემბერში ეს ხეობა დიდის ვაი-ვაგლახით დაიარეს პეტერბურგიდგან მოსულებმა ი. ი. ბულატოვმა და მისმა ამხანაგებმა, რომელთაც აზრად ჰქონდათ მადანი რამ ეპოვნათ. მართლაც, ბევრგან აღმოჩნდა ვერცხლის, სპილენძისა და ტყვიის მადანი, მაგრამ იმ ხანად, რადგან დიდი თოვლი იდვა იმ ხეობაში, არ შეეძლოთ ადგილობრივ გამოკვლევა, თუ რამდენად კარგის ღირსებისა იყო ის მადნები. ახლა ამ სამის დღის წინად ეს ამხანაგობა კიდევ მოვიდა და დაიარეს ბელღევნის ხეობა. ერთს ადგილას, სოფ. სუჯუნასთან მთაზე, გამოაჩინეს ვერცხლისა და ტყვიის მადანი, რომელსაც ბევრი თურმე ურევია წმინდა ლითონი. მეორე მადანი სოფ. მაშქოითთან გამოჩნდა ღელე გაღმა-გამოღმა' თითქმის სამის ვერსის სიგძეზე. ეს მადანი ტყვიის მადანია და იმისთანა ღირსებისაა თურმე, რომ ქარხანაში გადამდნარი ეგონება კაცს. ამხანაგობა ცდილობს ეს ადგილები ჩაიბაროს და, თუ რაიმე მიზეზმა ხელი არ შეუშალა, ამ ერთის თვის განმავლობაში კიდევაც აპირებენ გზებისა და ქარხნების დაკეთებას. დღეს ისინი ბათუმში წავიდნენ ტყის მცველის ამოსაყვანად, რომელმაც უნდა მიუზომოს ის ადგილები, სადაც სჩანან ამისთანა ძვირფასი მადნები. სწორედ მოგახსენოთ, დიდს სარგებლობას მოუტანს აქაურებს ამ ადგილებში ქარხნებისა და გზების გაკეთება, რასაც რამდენიმე ათასი მუშა ხალხი მოუნდება და ყველა ცოტად თუ ბევრად, შეიძენს თავის ოფლით ორიოდე გროშს. ღმერთმა ჰქნას, ეს საქმე მალე განხორციელებულიყოს და ჩვენის სამშობლოს სიმდიდრით ჩვენსავე მოძმეს ესარგებლოს.

ივ. ჯაიანი

## მცირე შენიშვნა

გაზ. „ივერიაში" დაბეჭდილმა (№ 109) „ნარკვევმა" გამახსენა ერთი გარემოება, რომელიც საყურადღებოდ მიმაჩნია: თელავის სამოქალაქო სასწავლებელში იყო მასწავლებლად პატივცემული პ-ძე. ი. როს-შვილი. ამ მასწავლებელს შეგნებული ჰქონდა ის გარემოება, რომელიც მოჰყავს „Рус. Вѣд."-ის წერილის ავტორს, და მით ჰხელმძღვანელობდა: ზემოხსენებულის სასწავლებლის ახლოს, „ნადიკვრის" დაბლა სდგას ერთი ძველი პატარა საყდარი პატარავე გორაკზედ; ამ საყდრის გარეშემო გვქონდა გაშენებული ხეები, ბ-ნ როს-შვილის თაოსნობით; ამ ხეებს ახლომახლო ტყეებში გვაგლეჯინებდა. ორის-სამის წლის განმავლობაში კარგს სანახავს წარმოადგენდა ეს ალაგი: ირგვლივ ხეები იყო ჩამწკრივებული და ყოველ რიგს პატარა გზა მისდევდა; შემდეგ-კი, არ ვიცი რა მიზეზით, ამ სახალისო საქმეს თავი მივანებეთ და იმ შრომამაც უქმად ჩაიარა: უყურადღებობით დატოვებული თითქმის სულ ამოაგდეს ზოგი მეძროხეებმა და ზოგიც სხვამ. ეხლა იმ ეკლესიის გარეშემო ბალახიც არ არის და ხეებისა რაღა მოგახსენოთ!. არ იქნება ურიგო, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ ეხლანდელი მასწავლებლები იმ სასწავლებლისა (ბ-ნი როს-შვილი სხვაგან გადიყვანეს) და ისევ მიჰყოფდნენ ხელსა იმ ეკლესიის გარეშემო ხეების გაშენებას (იქ ახლო სხვა კარგი ალაგებიც არის, რომლებსაც პატრონები არა ხმარობენ) ეს სრულიად ძნელი არ არის და არც თუ მოსაცდენი საქმეა, პირ-იქით სახალისოა და სასარგებლო ბავშვებისათვის, რადგანაც პატარობითვე ეჩვევიან გარჯას და თან, რასაკვირველია, სწავლობენ კიდეც.

გამახსენდა აგრეთვე ერთი კარგი ჩვეულებაც იმავე მასწავლებლისა: ეგრედ წოდებულის „გიმნასტიკის" გაკვეთილის დროს ხშირად წავვიყვანდა ხოლმე ტყეში (ტყე ახლოა) მხოლოდ არა „Смирно"-ითი, და „Шагомъ"-ითა, არამედ ისე, შინაურულად, როგორც თავისნებით წასულნი; მაშინ ჩვენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. მასწავლებელიც ამ გარემოებას კარგა გამოიყენებდა ხოლმე და ბევრს გველაპარაკებოდა სხვა და სხვა საგნებზედ და დაუმატებდა ხოლმე: „თელავს რომ ეს ტყეები ახლოს არა ჰქონდეს, ეს ცივი წყაროები, რომლებიც ეხლა უხვად გამოჩუხჩუხებენ, სრულიად დაშრებოდნენო"

სამწუხაროდ, ამას ყურადღებას არ აქცევენ ტყის პატრონები და უწყალოდ ჰჩეხვენ, როგორც მოხვდებათ. კარგი იქნება, ამ საგანს ყურადღება მიაქციონ და, თუ მაინც მოუჭრელობა არ იქნება, ისე მაინც დააჭრევინონ ხეები, რომ კიდევ ამოჰხეთქოს, თორემ მე თვითონ შემხვედრია ზოგ ალაგას გაჩეხილი ტყე სრულიად ამოგდებულიყოს.

ბ. კახელი

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მე-XXXIX)

რუსულ ჟურნალს „Записки Восточнаго отд. Императ. Русскаго археол. общества"-ს I ტომში (გვ. 208—216) დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი საქართველოს შესახებ. ეს წერილი თარგმნილია არაბულ კრებულიდამ, რომელიც შეუდგენია შიხაბედდინა ელკალკაშენდის მე-XV საუკუნეში (თვით ელკალკაშენდი † 1418 წ.).

ელკალკაშენდი მოგვითხრობს ცნობებს შესახებ ეგვიპტის სულთნებისა და საქართველოს მეფეთა ურთიერთ შორის დამოკიდებულობისა და გადმოგვცემს ვრცელ ცნობებს შესახებ ქართველთ იერუსალიმის ტაძრისა. სხვათა შორის იგი სწერს:

...მაჰმადიანები ქართველებს ეძახიან კურდ-ებს, ხოლო ქრისტიანნი კურჯ-ებს. საქართველო არის ფრიად დიდი ქვეყანა და უძლიერესი. ჰყავს საკუთარი მეფე. უფლება მისი უმტკიცესია. სატახტო ქალაქია ტფილისი. ეს საქრისტიანო სახელმწიფო მოსამზღვრეობს ერთის მხრით რუმს (ბიზანტია) და მეორეს მხრით ირანს (სპარსეთი). სულტანი (ეგვიპტისა) საქართველოს საზღვრების დასაცავად აქ შემოიყვანს ხოლმე 10,000 ჯარის-კაცს, ისიც იშვიათად... მიწერ-მოწერის დროს ეგვიპტის სულთნები ასეთის ხოტბით მიჰმართავენ ხოლმე საქართველოს ხელმწიფეს: „განაგრძოსცა ალლახმან ბრწყინვალება მათის უდიდებულესობისა, ხელმწიფისა: სახელოვანისა, დიდებულისა, მხნეთა-მხნისა, გულოვანისა, უძლიერესისა, დაუცადებელად მებრძოლისა, ლომებრივისა, ტახტთა და გვირგვინთა მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მოქენისა, თვისთა ქვეშევრდომთა ჭეშმარიტებით განმსრჯელისა, ლაზთა მეფეთა შორის უღლმატებულისა, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და ნავთ-საყუდელთა სამეფოთა საუნჯისა, გმირთა აღთქმულ ადგილის მცველ-მფარველისა, თვისთა წინაპართაგან ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მისაღდროსანისა, რუმისა და ირანის ქვეყანათა მოსაზრისა, იონთა *) შთამომავლისა, სირიელ მეფეთა კავშირისა (Эссенція царей сирійскихъ), ტახტთა და გვირგვინთა მჭერელთა შორის აღმატებით რჩეულისა, ქრისტიანეთა განმადიდებელისა, იესოს სარწმუნოების ტერფისა, მესიანთა გმირთა შორის კურთხეულისა, თვისის გამჭრიახობით უწმიდეს სახლის (იერუსალიმის) აღმამაღლებე-

*) იონთა ე. ი. ბერძენია.

იანვარსა. ია. ქეს. აქეთ ჩყკბ."

მეორე სამოციქულოს წარწერანი: ა.) „არს სამღრთო ესე სამოციქულო მისის უმაღლესობის იმერთა მეფის მნათისა დედოფლის ანნასი, რომელი აღვსწერე მე ყოვლად ულირსმან ხუცესმან ოსე ზაქარია მოძღვრის ძემან აბაონმან. ღმერთო განაძლიერე და აცხოვნე, მრჩობლთავე ცხოვრებათა შინა რამეთუ ბრძანებითა მისითა აღვწერე .: .: .: " ბ.) „არს სამოციქულო ესე მისის უმაღლესობის იმერთა დედოფლის ანნასი: და იყავნ მადლი დიდისა ამის მოციქულისა პავლესი მისთანა განუშორებელად უკუნითი უკუნისამდე: ამინ, ამინ, ამინ:" გ.) „განსრულდა სულთა და ხორცთა განმანათლებელი სამოციქულო ესე შეწევნითა ღვთისა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა: ბრძანებითა მისის უუმაღლესობის იმერთა დედოფლის ანნას მიერ, რომლისა ხსენება იყავნ კურთხეულ საუკუნოდ: ხელითა ყოვლად ულირსისა პროთოიერის ღაბაიევის ოსე ზახარია მოძღვრის ძისათა. მონასტერსა შინა წმიდისა ნიკოლაოსისასა. ქალაქსა ბელედოროთისასა რუსეთს ექსორიობასა შინა: და ვითხოვ შენდობასა აღმომკითხველთა მიერ, რათა თქვენცა შენდობილ იქმნეთ უფლისა ქრისტეს მიერ: წელთა ქრისტესით. ჩყკა: თვესა სეკდენბერსა. თ: ოსე." (ხელ ჩართულად.). სამივე ხელნაწერი-სახარება და ორი სამოციქულო-დაწერილია ერთნაირის წვრილის ნუსხა-ხუცურით, შავის მელნით, მხოლოდ სათაურები და მეთაურნი ასონი-კი ხშირად წითელ მელნით. წარწერებში მოხსენებული ოსე გაბაონი, დამწერი ამ ხელ-ნაწერებისა, უნდა იყოს ძე ზაქარია გაბაშვილისა, რომელიც სცხოვრებდა მე-VVIII საუკ. და ითვლებოდა საქართველოს მეფის თეიმურაზის II მოძღვრად. მეორე შვილი ზაქარიასი ბესარიონ გაბაშვილი ცნობილია მე-XVIII საუკუნის მწერლობაში თავის მოლექსეობით. მან სხვათა შორის დასწერა „კატის ომი" და შიგ გამოხატა ანტონ კათალიკოზის განდევნა საქრთველოდამ: აქვე მეტი არ იქნება მოვიყვანოთ ერთი მხედრულად დაწერილი წყალობის წერილი, რომელიც მე ვნახე ახალციხის მცხოვრებელისა ქართველ-კათოლიკისა კ. მეფისაშვილის სახლში: „ქ: · ძლიერებითა და წყალობითა დაუსაბამოჲსა მამისა ღვთისათა, ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან; სრულიად საიმერეთოს მპყრობელ·მან, მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომონ და თანა ერთ ხორცმან ჩემმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან, მარიამ, ესე აჲ მიერითგან უკუნისამდე, საბოლაოთ გასათავებელი და არაოდეს არ მოსაშლელი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ მეფისაშვილს მელქონას, და შენთა შვილთა და მომავალთა, სახლისა შენისათა ესრეთ, და ესე ვითარად, რომ გვევედრეთ, და მოგვახსენეთ ჩვენც ვისმინეთ ვედრება და მოხსენება თქვენი; წყალობა გიყავით, და ამოგიკვეთეთ ბაჟი, ჩვენს საბრძანებელშიდ ყოველგან, თუ თქვენ ჩვენი ერთგული, და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქმნეთ, არც ჩვენგან, და არც შემდგომთა ჩვენთაგან მეპატრონეთაგან არც თქვენ, და არც თქვენ შვილსა და მომავალს, არა ოდეს ჩვენ საბრძანებელშიდ ბაჟი გეთხოვებოდესთ, ასრე საუკუნოთ წყალობა გვიბოძებია, და უკეთუ ვინმემ იკადროს, და ხელ ჰყოს, შლადა ამ ჩვენ მიერისა, ბოძებულისა წერილისა; მყის თანა ეწიოს მას რისხვა ღვთისა, მიერი, და სახლსა მისსა, და, შვილთა მისთა, და შურის გება ვითარ კაინისა მომკულელისა ძმისასა, და იყავნ დედა უფლისა ჩვენისა შურის მეძიებელ, და ათორმეტნი მოციქულნი, შემკურველი საკრველითა განუხსნელითა, და მიმცემელ ცეცხლსა, მას საუკუნესა და ნახეთქსა შინა, და იყავნ წყეულ, აქა, და მას მეორემესა აწდა მარადის და უკუნისამდე, ხოლო დამამტკიცებელნი, და დამბეჭდელნი ამისნი, კურთხეულ იყავნ, სულითა ღვთისათა. ვიდრე უკუნისამდე ამინ, არის ამისი გამრიგე და მოწამე, ბატონი სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, და ქილიფთართ უხუცესი ნიჟარაძე როსტომ: ქრისტეს აქეთ (აქ ბეჭედი აზის ხუცურის ზედ-წარწერით: „მეფე იმერთა სოლომონ") ჩ. ლ. ჟ. ვ: თვესა აპრილსა კ. დ. (აქ კიდევ მეორე ბეჭედი აზის ხუცურის ხელჩართულ ასო-მთავრულის ზედ-წარწერით: „იმერთა დედოფალი მარიამი."). ქ. ნიჟარაძე. როსტომ. ამ წყალობის. წერილის. მოწამე ვარ. (ბეჭედი მხედრულის წარწერით: „მონა ღვთისა როსტომ.") ქ. სახლთ უხუცესი. წერეთელი. ზურაბ. მოწამე. ვარ. წერილისა ამის (ბეჭედი მხედრულის წარწერით: „მონა ზურაბ".). ქ. სარდალი წერეთელი ქაიხოსრო ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღვთისათა: ამინ (ბეჭედი ხუცურის ზედ-წარწერით: „სარდალი წერეთელი ქაიხოსრო."). აქ მოხსენებული მელქონა მეფისაშვილი, რომლისათვისაც უბოძებიათ ეს წყალობის წერილი იმერეთის მეფეს სოლომონს II და მის მეუღლეს მარიამს, ყოფილა პაპა-მამის-მამა. ახალციხის მცხოვრებლის ა. მეფისაშვილისა.

(შემდეგი იქნება)

ლისა, ნათელ-ღებულთა კვარცხლ-ბეკისა, რომის პაპის შემწისა, მაჰმადიანთა მეგობრისა, უახლოვესს მეგობართაგან უმშვენიერესისა, მეფეთა და სულთანთა უერთგულეს მეყვისისა; განაგრძენინ ალლახმან სიცოცხლე მისის დიდებულებისა, ბატონისა: ქებულისა, სულგრძელისა, სახელოვანისა, ახოვანისა, უშიშარისა, უსალმთოესისა, სულიერისა, მესიანთა ერის დიდებისა, მეჯვარონსნე ტომ-მოდგმის საუნჯისა, საქრისტიანო რჯულის სიამაყისა, მეფისა აფხაზთა, ქართველთა და ჯურჯანთა, მეგობრისა მეფეთა და სულთანთა“.

ესომ.

# დეპეშა

2 ივნისი

**ჯონგ კონგი**. 1500 ადგილობრივი მცხოვრები მოკვდა ჭირით; ავად ხდება თითქმის 50 კაცი დღეში; რამდენიმე ევროპიელიც გახდა ავად, მოკვდა ერთი. ადგილობრივ მცხოვრებთ უმრავლესობა გადის ქალაქიდგან. მთავრობა აპირებს სულ მთლად მოაოხრეინოს ის ადგილები ქალაქისა, სადაც-კი ავადმყოფობამ თავი იჩინა.

**რომი**. ნიკოტერა გარდაიცვალა.

2 ივნისი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭომ განიხილა პასპორტის ახალის წესის შემოსაღები პროექტი. მინისტრთა კომიტეტს წარედგინა წესდება საპენსიო დამხმარებელის კასისა მოსკოვში.

გამოცხადდა ის წესები, რა წესითაც უნდა გაირჩეს უსიამოვნება აფიცერთა შორის: პოლკის უფროსმა ყოველ შეურაცხების ამბავი, რომელიც აფიცრის ღირსებას შეპლახავს, თუ ვინიცობაა აფიცერს თავისმა ამხანაგმა მიაყენა ასეთი შეურაცხება, ან გარეშემ, ან სხვა რაზმის აფიცერმა, უნდა გადასცეს აფიცერთა საზოგადოების სასამართლოს, რომელმაც ღონის ძიება უნდა იხმაროს მათდა მოსარიგებლად, თუ მორიგება არ დაამცირებს ღირსებას აფიცრისას, ანუ დაადგენს, რომ ბრძოლაა ერთად-ერთი მართებული საშუალება აფიცერის შეურაცხებულ პატიოსნების დასაკმაყოფილებლადაო; თუ ორის კვირის განმავლობაში ბრძოლა არ შესდგა და იმ აფიცერმა, რომელმაც ბრძოლაზედ უარი განაცხადა, ქაღალდი არ შემოიტანა სამსახურიდგან დათხოვნის შესახებ, პოლკის უფროსმა უნდა მოხსენება წარუგზავნოს მთავრობას იმის დათხოვნის შესახებ, უიმის არზოდაც. გამოძიება აფიცერთა ბრძოლის შესახებ, რომელიც კანონით სასამართლოს მიერ უნდა იქმნას განხილული, ბრალმდებლის დასკვნითა და აფიცერთა საზოგადოების სასამართლოს დადგენილებითურთ უნდა წარედგინოს ჯეროვანს მთავრობას და აქედგანაც მიერთვას სამხედრო მინისტრს, რათა უქვეშევრდომილესად მოხსენდეს ხელმწიფე იმპერატორს, —მხოლოდ ისეთნი საქმენი-კი, რომელთა გარჩევაც დადგენილ სასამართლო წესით შესაძლებლად არ არის ცნობილი.

**სოფია**. „Свобод. Слово“ ამბობს, რომ ერთის წლის გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ უფლების ხელში ჩამგდებთან, ერის დახმარების წყალობით, ერი ძლივს ეღირსა სიმართლის გამარჯვებასო. ამა გამარჯვებამ მაინც არ უნდა დაგვაძინოს, მით უფრო, რომ სტამბულოვის მთავრობის კვალი ჯერ სრულიად არ გამქრალა; ეხლა ჩვენ უნდა გავილაშქროთ სტამბულოვის მთავრობის დროიდგან დარჩენილ ბოროტ წესების წინააღმდეგ და შელახულ კანონის აღსადგენადაო. შემდეგ დეკლარაციაში გამოცხადებულია ერთგულება ბოლგარიის საერო დასისა პრინც ფერდინანდისა და იმისის გვარეულობის მიმართ და ნათქვამია, რომ ყველა ბოლგარნი შევიკრიბნეთ ერთად საერო დასის ტალავარსა ქვეშე საზოგადო შრომად, საერთო სურვილის განსახორციელებლად ძ იმ აზრით, რომ ტახტს უფრო მეტი სიმკვიდრე მივსცეთო.

3 ივნისი.

**ვენა**. უნგრეთის დეპუტატთა პალატის სასოფლო სამეურნეო საბჭომ მოიწონა ავსტრი-რუსეთის სავაჭრო ხელ-შეკრულობა.

**ლონდონი**. კორეიაში მივიდნენ იაპონიის და სხვა სახელმწიფოების ჯარები უცხო-ქვეყნელთა და იმათის ქონების დასაცავად. მეამბოხენი სეულში შესცვივდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 31 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | $7^1/_2$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $149^1/_4$ | $150^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 247 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225 |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $191^3/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀ . . . . . | — ,, | $101^1/_2$ | — ,, |
| 5°/₀ . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6°/₀. | — ,, | $101^1/_2$ | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | — ,, | 100 | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^3/_4$ | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

მატერიალის ქუჩაზე № 3 ვყიდი

სახლს.

სახლი ერთ სართულიანია, სამი ოთახი ახლად გაკეთებულია და სამიც ძველად. მიწა ზომით სამოცი ოთხ-კუთხი საჟენია.

დარჩო ნარუსტიშვილი

(1—1291—1)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—164)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—8)

გამგეობა ტფილისის ქონების ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებისა

აუწყებს ბბ. წევრთ ამ საზოგადოებისას, რომ

საგანგებო კრება

რადგან არ მოხდა 29 მაისს, ამიტომ ამ საზოგადოების § 27 დაწესებულების ძალით, გადადებულ იქმნა და

დანიშნულია 12 ივნისს

კვირას, დილის 10 საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში.


„ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | | 6 თვით . . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою Тифлисъ, 3-го Іюня 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.